

რედაქცია

მელი მ-ნოვის ქუჩაზე, არტემ ჩაიგეშტოვის სახ-  
ლებში.

ხელის-მოწერა

რედაქციაში და სტ. მელიქიშვილის სტამბაში.  
ქალაქს ვარეშე მცხოვრებთათვის: Въ Тифлисѣ. Въ  
редакцію газеты „Дროზდა“.

გაზეთის ფასი

წელიწადში — 8 მან., ნახევარ წელიწადში —  
4 მან. და 50 კაპ., თვეში — 1 მან.  
ცალკე ნომერი — ერთი შაური.

# დროშა

გამოდის კვირათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით

განცხადება

მიიღება ქართულს, რუსულს, სომხურს და სხვა  
ცუხულს ენებზე.

განცხადების ფასი

დიდი ასოებით, სტრიქონზე — 1 კაპ., ასო-მოკრულით,  
სტრიქონზე — 8 კაპ., ციცოროთი, სტრიქ. — 5 კაპ.,  
პეტით — 4 კაპ.

თუ საქმიანობა მოითხოვს, რედაქცია გასწორებს  
და შეამოკლებს გამოგზავნილ მტკიცებას.  
დაუბეჭდელი სტატიის ავტორს არ დაუბრუნდება.

ამ თვის 11-ს „დროშის“ რე-  
დაქცია ვალიამინოვის ქუჩაზე,  
არტემ ჩაიგეშტოვის სახლებში,  
პოლიციის პირ. და პირ, გადავი-  
და და ამის გამო ვსთხოვთ,  
დღის უამრავ, ვინაც ხსენებულ  
რედაქციასთან რამე საქმე ექმნე-  
ბათ, ამ აღმასნით მიმართონ.

## პირველი სექციისგან ოთხი თვის ხელის-მოწერა „დროშაზე“

ახალი ხელის-მომწერნი მიიღებენ  
გაზეთის ყველა ნომრებს ამ წლის  
1 სექტემბრიდან ვიდრე 1876 წლის  
1 იანვრამდე.  
ფასი ოთხი თვის ხელის-მომ-  
წერლებისათვის სამი მანეთია,  
ნახევარი წლის გაზეთისა — 4 მან. და  
50 კაპ.

## საქართველო

### ყურადღების ღირსი ჰაზრი

შვემით დაბეჭდილია წერილი ქა-  
ხის შკოლის მასწავლებლის უფ. ივა-  
ნე როსტომაშვილისა.  
მიაკციეთ ამ წერილის შინაარსს  
ყურადღება. პეტრონი ისეთს საგანს  
შეეხება, ისეთს წინადადებას გვაძლევს,  
რომელიც სრულის ყურადღების ღირ-  
სია.  
წინადადება მდგომარეობს იმაში,  
რომ ჩვენს სოფლებში, ჩვენებური  
ვაჭრებისაგან ილაჯ წართმეულ და  
გაცარცულ ხალხისათვის გაემართოთ  
ისეთი დუქნები, სადაც სოფლებს  
ყველაფრის ყიდვა შეეძლოს, რაც  
იმას ცხოვრებისთვის ეჭირება და სა-  
დაც აგრეთვე შეეძლოს ყველა თა-  
ვის ნაწარმოების გასაღება.  
დუქანი იქნება სოფლის ხარჯით  
გამართული, სოფლის საკუთრება.  
მასწავლებელ სოფელი თავის თავს არ  
მოატყუებს: უფრო კეთილ-სინიდი-  
სიანი ვაჭრობა შეიძლება ამ დუქან-  
ში და რაც წმინდა შემოსავალი დარ-  
ჩება, ისევე სოფლის ხალხს — მებატ-  
რონებს შუა გაიყოფა.  
პროტის სიტყვით, პეტრონი გვირ-  
ჩევს ისეთი „მომხმარებელთა საზო-

გადგობანი“ დავარსოთ, როგორც  
სხვაგანაც ბევრია ამ ქვეყანა და რო-  
გორც არის, სხვათა შორის, გამო-  
ჩენილი როსტომის ამხანაგობა ინ-  
გლისის მუშებისა.  
რალა თქმა უნდა, რომ ეს ჰაზრი  
მშვენიერი და მოსწრებელი ჰაზრია.  
შოველი საქმე, ყოველი წინადადება,  
რომელიც ჩვენი ხალხის განთავისუ-  
ფლებას გეიქადის იმ სოფლის წურ-  
ბელებისაგან, რომელთაც ვაჭარს,  
ჩარჩს ეძახიან და რომელნიც უკა-  
ნასკნელ სისხლსა სწოვენ, ტყავს აძ-  
რობენ ხალხსა, ამისთანა საქმე, რა-  
საკვირველია, ყველასაგან, ვისაც ხალ-  
ხის ბედისთვის გული შესტკივა, თა-  
ნაგრძნობას და დახმარებას უნდა მოე-  
ლოდეს. და, უეჭველია, რომ ზემოხ-  
სენებული წინადადება სწორეთ ამი-  
სთანა საქმეა.  
მაგრამ ყველა ამისთანა მრჩეველ-  
თა და წინადადების მომცემთ ერთი  
ჩვეულება სჭირთ: ისინი დარწმუნე-  
ბული არიან და სხვებსაც არწმუნე-  
ბენ, რომ ეს იმათი საშუალება ყო-  
ველ გვარ უბედურებისა და გაჭირე-  
ბისაგან გამოიხსნის ხალხს. ერთი  
ურჩევს, ესთქვათ, პურის მალაზიებსა  
და გვარწმუნებს, რომ თუ ხელს ყო-  
ველ სოფელში მალაზიები იქნება,  
ხელ-ზეგ ხალხი არავითარ ნაკლუ-  
ლევანებას აღარ იგრძნობს; მეორე  
შკოლების გამართვას გეიქადავებს და  
გვეუბნება: ოღონდ ჩვენში შკოლე-  
ბი გაიმართოს და ნახეთ — რა კე-  
თილდევობაში ჩაეარდება ხალხიო,  
მესამე სასოფლო ბანკისაგან მოე-  
ლის ჩვენში ამ ქვეყნიურ ნეტარების  
დაარსებას; მეოთხე კარგი სამღდე-  
ლოების წყალობით, მეხუთე მკით-  
ხავეების მოსპობით და სხვ. და სხვ.  
ამ პირთ ერთი რამ ავიწყდებათ:  
რომ ხალხი მარტო ერთის მხრით და  
ერთის რომლისაზე მოვლენისაგან არ  
არის შევიწროებული, დაჩაგრული და  
დაღარიბებული; ავიწყდებათ, რომ  
ხალხის ცხოვრება ერთობ მთელია,  
რომ იმას სხვა და სხვა მხრით და სხვა  
და სხვა გვარი დახმარება და საშუალე-  
ბა ეჭირება, რომ ერთის ვაჭრებისა-  
გან ერთი სახსარი იხსნას, მეორესა-  
გან მეორე და ასე ამ გვარად; რომ  
დღე-მიწაზე ისეთი ერთი რომელიმე  
ჯადო არ მოიპოვება, რომელიმე  
რომელიმე ხალხი უეცრად და ერთ-  
ბაშთ ყველა ვაჭრებისაგან და ყვე-  
ლა უბედურებისაგან დაიხსნას. შკო-  
ლას თავის დანიშნულება აქვს, სა-  
ზოგადო პურის მალაზიას თავისი,  
კარგ, პატროსან მღვდლებსა კიდევ  
თავისი და სხვ.

მაგრამ თქმა: რომ ეს ჩემი სასო-  
ფლო ბანკი ერთბაშთ განკურნებს  
ხალხის ყველა წყლულებსაო, — ამის  
თქმა შეცდომაა, და არა თუ შეც-  
დომა, მანებელიცაა, რადგან ეს საქ-  
მით არ ასრულდება და ამის გამო  
ხალხს ერთს სასარგებლო საქმეზე  
გული აუცრუდება.  
აი, ახლაც: უფ. როსტომაშვილი  
ამბობს, რომ ათასი ბანკი რომ ექ-  
ნეს ჩვენებურ გლეხებს, ვერას უშვე-  
ლისო. „ზონებამ ჩვენი ხალხის ახ-  
ლანდელი მდგომარეობიდან დასახ-  
სნელად მიჩიოა, გაუმართოთ ისე-  
თი საზოგადო მალაზია, სადაც ის  
ჰყიდულობდეს ყველაფერს, რაც მის-  
თვის შეადგენს უსაჭიროეს საგანსა  
და რასაც თითონ არაკეთებდეს.“  
უეჭველია, რომ ეს საზოგადო მა-  
ლაზიები ხალხს დიდ სარგებლობას  
მოუტანენ, ბევრ გაჭირებაში დაეხ-  
მარებიან. მაგრამ ისიც უეჭველია,  
რომ ეს საყოველთაო მკურნავე სა-  
შუალება არ არის.  
თუ ზოგიერთს სოფლის საზოგა-  
დოებას ამ გვარმა მალაზიებმა ის სარ-  
გებლობა მოუტანა, რომ ცოტათი  
მაინც გაათავისუფლა იმ სოფლის  
წურბელებისაგან, რომელნიც ჩვენში  
თან-და-თან ასე მრავლდებიან, — ესეც  
დიდი დამსახურება იქნება. და რომ  
ამის შესრულება შეუძლია ამ გვარ  
მალაზიებს — ამაში ეჭვი არის. მაგრამ  
ამ მალაზიებს თავიდაპირვე ზოგიერთი  
დაბრკოლება მოეძის, რომელზედაც  
ვეცდებით შემდეგში მოვილაპარა-  
კოთ.  
ს. მესხი

### მოკვლეთის აგება

ოსმალის საქართველოს არეუ-  
ლობის თაობაზე, ჩვენ შემდეგი ახა-  
ლი ამბები მივიღეთ:  
„როგორც თქვენი გაზეთის მე  
101-ში იყო გამოცხადებული, ოსმა-  
ლოს მმართველობის ბრძანებას არ  
დემორჩილდნენ ისეთნი პირნი, რომ-  
ლებთაც კი შეუძლიანთ აღება იარა-  
ღისა და ახლა აქეთ მოლაპარაკება,  
რომ არამცა და არამც არ წაეიდნენ.  
რომლებიც კი იყვნენ მათში საწ-  
ყალი, ღარიბი და ხელმართ კაც-  
ბი, ისინი კი იძულებით გამოეყანილ  
იქმნენ: 20 კაცი გაგზავნეს ბათუმ-  
ში და დღესაც იქ არიან; დანარჩე-  
ნებს მოლაპარაკება ჰქონიათ: თუ აი-  
ძულეს გასვლაზედ, უთუოდ წინა-  
აღმდეგობა გაიწიონ.“  
„ის ამბავი მითხრა მე გუშინ ერ-  
თმა ჩემმა ნაცნობმა იქ მცხოვრებმა

ძველმა ქართველმა 70 წლისამ, რო-  
მელმაც დაატანა, რომ „მე ვარ მო-  
ნათლული ქართველის მღვდლის  
ძალანდარიშვილისა. ამითი და სხვა  
გარემოებითა ჩვენ ეეკუთნით ქარ-  
თველობას და არა თათრებსო...“  
მ. ნიკოლაიშვილი  
მსურვეთი, 28 სექტემბერს

### იუბილეის დღესასწაულობა ამროსაში

სხვა განათლებულ ქვეყნებში, მა-  
გალითად შვეიცარიაში, საზოგადოთ  
მიღებულია საერო დღესასწაულები,  
სადაც მიზეზათ რომელიმე მხარე  
ხალხის გონებით ან გნებითი წარ-  
მატებისა არის, ამას ხშირად შეხე-  
დებით: პედაგოგიური, მუზიკალური,  
სამეურნეო და სხვა კრებები არიან  
ხოლომე სადღესასწაულო შემთხე-  
ვებად.  
პროტი რომ თითონ საგნებიც მის-  
თანა არიან, რომ არ შეიძლება კაც-  
მა დიდის სიამოვნებით და სიხარუ-  
ლით უყუარდეს ამისთანა შემ-  
ხვევას. ამისთანა ქვეყნებში, სადაც  
ყველას მიზნათ, ყოველ ნაირი მოქ-  
მედების სახელმძღვანელოთ საზოგა-  
დო ბედნიერება, ხალხის ცხოვრების  
გაუმჯობესობა და გონებითი წარმა-  
ტება არის, იქ თითოეული ცალკე და  
ყველა საზოგადოთ დანდობილი არი-  
ან ერთმანეთზედ, ერთმანეთის სურ-  
ვილს გრძობენ და ერთმანეთის გუ-  
ლის პასუხი ესმისთ.  
მათი ცხოვრება ისე მიმდინარეობს  
და ყოველ საზოგადო მოვლენას  
მისთანა შემდეგი აქვს, რომ ჩვეულე-  
ბა საეჭვოთ აღარა სდებს ამ ნაირ  
შემთხვევების მნიშვნელობას.  
მერმეთ დღესასწაულისათვის მომ-  
ზადებაც იმ ნაირათ არის ხოლომე,  
რომ არ შეიძლება, რაც უნდა გულ-  
გრილათ იყოს კაცი ამ ნაირ მხი-  
არულებასზედ, არ გაიღვიძოს მის გულ-  
ში თანაგრძნობა. შეუდგებიან თუ  
არა დღესასწაულისთვის მომზადებას,  
იმ დღიდანვე ცხადათა სიხანს ყველა-  
სათვის, რომ მხიარულება მარტო  
ერთი და ორისათვის არ არის დანი-  
შნული, თუ საკუთარი ბარათებით და  
თუ სხვა და სხვა ნაირი განცხადე-  
ბებით იწვევენ ყველას.  
ზამგებლების მოწადინება არის,  
რაც შეიძლება მეტი მონაწილეობა  
მიღებინოს საზოგადოებას, მეტი  
თანაგრძნობა აღძრას მასშიდ.  
ამისთვისაც ყოველნაირი დღესას-  
წაულის ნაწილი: სამეცნიერო, თუ  
სამხიარულო ყველასათვის გახსნი-  
ლია და არავითარი ფორმარული  
წესდება არ აბრკოლებს არავის.

შეუღებოდა ვიღაც, რომ ამ ნაირი დღესასწაულები პირ-და-პირ ხალხისათვის არის დანიშნული, მის გასაღვიძლებლათ, გასათხილვებლათ, საქმეზედ წასახალისებლათ.

საზოგადოებას ც კარგათ ესმის ამ ნაირი თავის მოთავეების მიმართულება და არ ზოგავს თავის დონის ძიებას, რომ გაშლილი გულით და უხვის გრძობით მიიღოს მონაწილეობა დღესასწაულში. ამიტომაც გამოდის ხოლმე, ყველა სტუმრების საზოგადოებისაგან უფრო დიდი პატივსცემა და სიამოვნება აქვთ, ვინც თითონ დღესასწაულის მომწყობლებსაგან; საზოგადოებას თავის მხურვალე მონაწილეობით ერთი ათად უფრო ბრწყინვალეთ გამოყავს დღესასწაულის გარეგანი შეხედულება, და ერთი-ათად ძლიერებს შინაგან, გულით მხიარულებას.

აქედან წარმოსდგება, რომ საზოგადოებაზედ უფრო დიდი განვლენა აქვს ამ ნაირ დღესასწაულს, უფრო სანახოვროთა რჩება და ამიტომ უფროც უკვირდება დღესასწაულის საგანს. ცდილობენ სამეცნიერო შესაიფის დროს, რაც შეიძლება მეტი ხალხი იქნეს და რაც შეიძლება ყველას გასაგონათ იქნეს მუსაიფი; მხიარულობა შეხედებათ, ამასაც ბევრთან ამჯობინებენ. მანგებ გააკეთებენ ხოლმე პროცესიებს მთელ ქალაქში, რომ უფრო გამოსაჩინათ და საქვეყნოთ გამოვიდეს დღესასწაული. ქოველ ნაირი დღესასწაული ხალხის გაღვიძებისათვის არის მოგონილი. ამითი ახალისებენ, ამხნეებენ ხალხს; ამ გზით იბადება რომელიმე საქმისათვის თანაგრძობა, დამკვიდრება და ხორციელდება ხალხში; და თუ რომელიმე დღესასწაული ამ აზრით არ არის დაწესებული, მაშინ იმას იმდენი მნიშვნელობა აქვს, რამდენი ყოველ გემრიელ და შემრგვ სადილს.

ბ. ვ.

საგნები, რომელზედაც თუილისის მალაქის გამგეობამ (დუბაჟ) უნდა მოილაპარაკოს ამ მომავალს სხდომაში

(დასასრული)

36) წარდგენილობა ქალაქის გამგეობისა შესახებ სენატორის სტარკის ცოლისათვის საქალაქო მიწის მიცემისა.

37) წარდგენილობა გამგეობისა შესახებ მატანიანის ცოლის საქალაქო მიწის მიცემისა მელიამინოვის ქუჩაზე.

38) წარდგენილობა გამგეობისა შესახებ შუკის მოქალაქეებისთვის ქალაქის მიწის მიცემისა.

39) მოხსენება ნიკიტა შუბინისთვის მიწის მიცემის შესახებ.

40) წარდგენილობა გამგეობისა ტერ-ლუკაზოვის მამულზე ქუჩის გაყვანის თაობაზე.

41) მოსაზრება ქალაქის თავისა ასანების თაობაზე.

42) წარდგენილობა გამგეობისა ამავე საგანზე.

43) აბდულლა-ბეგ ზაჯიბგოვის წინადადება შესახებ ქალაქის მეცხრე განყოფილებაში ქურდობისა და კაცის მკვლელობის მოსპობისა.

44) ინტენტარის კომისიის მოხსენება.

45) მოხსენება კომისიისა საცხენო რკინის გზის გამართვაზე თფლისში და ამ საგანზედ წინადადება უფ. შორლანოვისა, სკრებრიაკოვისა და მჯუბოვისა.

46) წინადადება ქალაქის თავისა შესახებ ჯანმთელობის (სანიტარის) კომისიისა და ა. ი. ზუბლოვის ჰაზრი ამ საგანზედ.

47) წინადადება ხმოვანის ა. ი. ზუბლოვისა ქალაქის გამგეობასთან სხვა და სხვა სამუდამო კამისიების გამართვის შესახებ.

48) წინადადება ქალაქის თავისა სახელოსნო სასწავლებლისათვის ცალკე კომისიის დანიშნვის შესახებ.

49) შინაგანი საქმეების მინისტრის ცირკულიარი: 1) საზოგადო გადაწყვეტილების შედგენაზე, 2) ქალაქში სამიკიტნოების გახსნის უფლებაზე, 3) ბაზრისა და ვაჭრობის ზედამხედველების თანამდებობაზე, 4) სასწავლებლებთან ვისიმე სახელით სტავენდების დანიშნვაზე, 5) ქალაქის გარეთ ფაბრიკებისა და ქარხნების გამართვაზე და 6) ქალაქის დებუტატების (ხმოვანების) რიცხვზე.

50) საქმეების წარმოების წესზე ქალაქის გამგეობაში.

51) ჰაზრი დებუტატის დოლოხანოვისა შესახებ იმისა: 1) აქვს თუ არა უფლება დებუტატს, რომელიც სხდომას დაესწრო, დაწერილი ჰაზრი შეიტანოს გამგეობაში და 2) აქვს თუ არა უფლება დებუტატს, რომელიც სხდომაზე არ დასწრებია, რომ დაწერილი პროტესტი შეიტანოს გამგეობის გადაწყვეტილებაზე.

52) თხოვნა თფ. მოქ. მანუკა მატანიანისა იმ ზედწარწერის მოსპობაზე, რომელიც იმის მამულის დაფასების სიაზე დაუწერია გამგეობას.

53) ამავე საგანზე თხოვნა თფ. მოქ. აპროპ ტერ-აპროპოვისა.

54) წარდგენილობა გამგეობისა დაფასების ხარჯისაგან განთავისუფლების შესახებ ზიკვიეროს მამულზე.

55) საჩივარი დოქტორის ბლავაკისა, პოტრინისა, ლენ. შორლანოვისა და ი. თუმანოვისა დამფასებელს კამისიაზე.

56) საჩივარი ლენ. ალიუტ. ანდრონიკოვისა გამგეობის გადაწყვეტილებაზე 1056 მანეთის კვარტირის ფულის გადახდის თაობაზე.

57) ამავე საგანზე საჩივარი მამკავარიანისა.

58) წარდგენილობა გამგეობისა შესახებ ხარჯის პატიობისა მამულებისა.

59) საჩივარი მოქ. დიდზურაბოვისა გამგეობის გადაწყვეტილებაზე რუსის ბაზარზე ადგილის მიცემისა.

60) თხოვნა თფლისის მოქალაქეებისა იმაზე, რომ ებრაელებს მანუ-

ფაქტურის საქონლის ტარება და ვაჭრობა აღეკრძალოს.

61) წარდგენილობა გამგეობისა ტრაქტირებზე.

62) ზამგებელისა და კვარტირის კამისიების მოხსენება შესახებ 1868—1873 წლების ანგარიშებისა და მ. ს. ლების მზრუნველობის 1870—1872 წლების ანგარიშისა.

„დროების“ კორექციონებისა

შუალო რედაქტორი!

მს ერთი წელიწადია, რაც მე შევეცქერი ჩვენი ხალხის ცხოვრებას, მის გაუწყვეტელ მუშაობას ლუკმაპურისათვის, მის არ გაგონილ ტანჯვას. შევეცქერი და ფექტობ: ღმერთო! როდის უნდა გათავდეს ეს ჩვენი უსარგებლო გაუწყვეტელი მუშაობა, ეს არავესგან გაგონილი ტანჯვა?!

მეცნიერობა მეუბნება: „მაშინ, როდესაც შენ გაანათლებ ხალხსა, როდესაც შენ გაუმართავ მათ ბანკებსა, აფთიექებსა და სხვა...“

მაგრამ ყველაფერი ეს როგორღაც არ ეჭაშნიკებოდა და ეხლაც არ ეჭაშნიკება ჩემ მოუთმენარ ხასიათსა, ჩემ ქუთასა, რომელიც სჯიდა ამ გეგარად: „მანამდის შენ გაანათლებ ხალხსა, მანამდის ამოწყდება კიდევცა სიღარიბისაგან, გადმოვარდნილი მცარცველებისაგან (ვაჭრობისაგან) და სხვ. შენ რომ გაუმართო მას თუნდა ათასი ბანკები, ვის გაახარებ? ვისთან წავა ბოლო დროს ის ფულები, რომელსაც ხალხი აიღებს შენგან გამართული ბანკებიდან? შუა მეუბნებოდა; „ისევე, იმ მცარცველებთანო!...“

მაშ რაზე დამაყენა ამ საგანზე დაკვირებამ? მაშ რა მიჩნია გონებამ ჩვენი ხალხის ეხლანდელი მდგომარეობიდან დასახსნელათ? აი რა:

ზაუმართვეით ხალხსა იმისთანა საზოგადო რამეები, სადაც ის ყიდულობდეს ყველაფერს, რაც მისთვის შეადგენს უსაჭიროებს საგანსა და რასაც თითონ არ აკეთებს! ზაუმართვეით იმისთანა რამეები, სადაც ის სარგებელი, რომელიც ეხლა მიაქვს სომეხსა, ურისსა, ინგემესსა, ფრანგსა და სხვას, დარჩეს თვითონ ხალხსა! მართი სიტყვით, იმ ათასი მანეთებით, რომლითაც თქვენ უხსნით ხალხს ბანკებსა, გაუმართვეით მალაზიები, რომლებიც, რასაკვირველია, უნდა შეადგენდნენ იმ სოფლების თუ ქალაქების საკუთრებას, რომლებმაც დადეს ფული მის დაარსებისათვის. ამ მალაზიებში ყველაფერი უნდა იყიდებოდეს სოფლის თუ ქალაქის საზოგადოებისაგან დანიშნული მანადით, და ისრე იაფათ, რომ სარგებელი თითონ არ მიწზე, თუ თითონ ნივთზე, იყოს რაც შეიძლება მცირე და ამასთან ყველა მიღეთის ხალხისათვის თანასწორი.

შუალო რედაქტორი! მე ვჩქარობ საქვეყნოთ ამ ფექრის შესატყობინებლათ, რომ რა არის გვერდის სხვისი უფრო უმჯობესი ჰაზრი ამ საგანზე, დარიგება და საშუალება,

როგორ უნდა გაიმართოს სოფლის და ქალაქებს საზოგადოებრივი მალაზიები და სხვა. შექმნილი უფრო მეტათ იმიტომ, რომ თითონ მე დავიწყე ეს საქმე აქ, სოფელში, და ძლიერ მოწადინებული ვარ, რაც შეიძლება მალე შევიტყუო სხვისი შეხედულობა და ფექრი ამ საგანზე.

შედა გითხრათ, უფალო რედაქტორო, რომ ჩვენ ხალხს (ე.ი. მობო მახელებზე და სხვა სოფლებზედაც, რომლებმაც შეიტყუეს ჩემი განზრახვა) ეს საქმე ძლიერ მოჰსწონთ, თავშიაც ვარდებიან და მაშინვე ხელსაც აწერენ—ზოგი, ვინც საწყალია, სამ მანათს, ზოგი 4, 5, 8, 10 მანათზე. მე მინახავს ჯერ-ჯერობით 60 კომლი მახში და აქამდისინ არცერთს არ უთქვამს უარი. ზოგი მეუბნება: შენ როგორმე ასარულე ეს საქმეო, დაგვანახე მალაზიო და მაშინ ხუთ, ექვს თუმანს დაედებოთ. ამ საქმით ისინი ფექრობენ დიხსნან თავიანთი თავი იმ ვაჭრებისაგან, რომლებიც გადმოცივინილან, ვინ იცის საიღამ. (აქ, მახში, იქნება 84 სხვა და სხვა ლუქანი).

როდესაც შევეკითხავ ხოლმე: გინდათ, რომ ეს საქმე ასრულდეს?—ქველა მეუბნება: „როგორ არ გვინდა, როდესაც ჩვენ აღარ მოვსტყუედებით; როდესაც ჩვენი მუშაობის, ნაყიდის ხეირი სხვას კი არ წაუფა, დარჩება აქ ჩვენ ლუქანში, საიღამაც ჩვენ შეგვიძლიან რამდენიმე წელს იქით, როდესაც გადიდდება სარგებელი, გაემართოთ ხაზინა (ბანკი) და ყველაფერი...“

ჩემის ფექრით, პირველი სახსარი რომ უფრო წარმატებით წავიდეს ეს საქმე, არის იმგვარი საზოგადოებას დაარსება, რომელიც ხელს უმათავდეს იმ სოფლებს, რომლებიც ისურვებენ ამ გვარი საქმის დაჭერას, იმით მაინც, რომ ყიდულობდეს ხოლმე ყველაფერს, რასაც სოფელი მოითხოვს, თავის ადგილზე, გაუზგაენიდეს მათ და გამართმევდეს იმ ხარჯსა, რომელიც თითონ მოუვიდა.

დაწერილებით შემდეგ, როდესაც მე წაეკითხავ თქვენ დიდ-პატივცემულ გაზეთში თქვენსა თუ სხვისას ჰაზრსა ამ საგანზე.

ი. როსტომაშვილი

სოფ. ძაბი, 21 სექტემბერი

რუსეთი

რუსულმა გაზეთმა „ხმა“ ერთი ამბავი გეცნობა, რომელსაც თითქმის ყველა რუსულ გაზეთებმა დიდი ყურადღება მიაქციეს. საქმე იმაშია, რომ მრლოვის უფლის ერობამ, გერცოვოვიენელი აჯანყებულების სასარგებლოთ, 10,000 შესწირა. მს პირველი შემთხვევაა, რომ ერობა ამ გვარ საქმისთვის სწირავს ფულს. მომეტებული ნაწილი გაზეთისა თანაგრძობით მოიხსენებენ ამ ამბავს; მხოლოდ ზოგიერთები კი ამტკიცებენ, რომ ერობას არ ჰქონდა უფლება, რომ ეს ფულები ამ გვარ საქმისთვის შეეწირათ, რადგან ბევრი



თვის სქემებიც არა აქვს ჯერ რიგანათ გამართულიაო.

✱ მატკის გუბერნიის ერობის უკანასკნელს სხდომებზე მოლაპარაკება ყოფილა იმაზე, თუ რა საშუალება უნდა იხმარონ, რომ თავიანთ გუბერნიის ტყეები გააშენონ. მართა წყერის წინადადებით, ერობას გადაუწყვეტია, რომ ამ საქმისათვის ფულები დანიშნოს და ისეთი მცენარეები გამოიწეროს, რომელიც ამ გუბერნიის ადგილად გაიხარებს და გაშენდება.

✱ მართი მასწავლებელი პეტერბურლის გიმნაზიისა ხანის ამ ქალაქში ისეთს სასწავლებელს, სადაც მხოლოდ უცხო ენებს ასწავლონ: შრანცუზულს, ნემეცურსა და ინგლისურს. თავის გამოცხადებაში მასწავლებელი ამბობს, რომ ამ სასწავლებლის მიზანი ის არისო, რომ ეს უცხო ენები პრაქტიკულად ასწავლოს ყველგან, რადგან ჩვენი საშუალო სასწავლებლები (გიმნაზიები) ამ მხრით ვერ აკმაყოფილებს საზოგადოების მოთხოვნილებასაო.

✱ ჩვენს გაზეთში იყო ამას წინათ მოხსენებული, რომ პეტერბურლის ობერ-პოლიციმეისტრის თაობით, ამ ქალაქში გახსნილია ერთი სახელოსნო სახლი, სადაც მკერვალი ქალები მოდიან და მუქთად სარგებლობენ ამ სახლში საკერავე მაშინებითა. ახლა სწერენ, რომ ერთი მდიდარი ეპარქიის აპირებს მეორე ამისთანა სახელოსნოს გამართვასაო, სადაც მკერვალი ქალები მაშინების ხმარებისათვის დღეში თითო შაურს მისცემენო.

### უცხო ქვეყნები

**გერცოგოვინის არაულობა.** გაზეთებში დაბეჭდილია ეპისტოლე, რომელიც გერცოგოვინის აჯანყებულებს გაუგზავნიან იმ აგენტებისთვის, რომელნიც გერცოგის ექსიუმთავრისა სახელმწიფოსაგან არიან იქ. ბრძოლის ველზე გაგზავნილი. ამ ეპისტოლეში დაწერილებით მოთვლილია მიზეზები, რომელთაც გერცოგოვინის და ბოსნიის ხალხი აძულა, რომ ამდგარიყო და თოფიარალისთვის ხელი მოეკიდნა, მოყვანილია ათას ნაირი უსამართლობა და შევიწროება, რომელიც იმათ ჰქონდათ მიყენებული ოსმალის მთავრობისა და მოხელეებისაგან.

ბოლოს ეპისტოლე ასე თავდება: „რამდენი ცვლილება მოხდა გერცოგოვინის ხალხის შემავიწროებელი ხელმწიფეები გადაყენეს ტახტიდან და თქვენ კი (მიმართვენ აგენტებს) დღეს ოსმალის ბარბაროსობას იცავთ! ჩვენ არ გვირდა, აღარ შეგვიძლიან ოსმალის ხელქვეითი ცხოვროვო. ადამიანები ვართ და არა მხეცნი! ოსმალს კი ჩვენ ისე გვეპყრობა, როგორც მხეცებსა. გერცოგოვინის რომ არ დაგვებაროს, ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს, რომ რითაც შეგვიძლება, ვეცდებით ოსმალის მფლობელობისაგან გავთავისუფლდეთ. ოს-

მალის მმართველობის დაპირებისა, კი ჩვენ დიდი ხანია არა გვეჯერა, რადგან ამ გვარი დაპირებით ბევრჯერ მოგტყუებულვართ. ჩვენ გვსურს თავისუფლება, სრული თავისუფლება. ოცნებები ჩვენ აღარ ჩაუვარდებათ თათრებს ხელში!“

**სერბია.** ოსმალის თავის მხრით და სერბიის თავის მხრით დიდძალი ჯარები ჰყავთ სამზღვრებზე დამზადებული. ოსმალის მმართველობას, როგორც ამბობენ, ნოტა გაუგზავნია ამას წინეთ სერბიისათვის: დიაცაე ნეიტრალიტეტს თუ პარ-და-პარ აჯანყებულების მიდგმას აპირებო. სერბიის მმართველობას შემოუთვლია ამას, რომ სანამ გარემოება ნებას მოგვცემს, ჩვენ არ გვსურს, რომ თქვენ ომი გამოგიცხადოთო. მაგრამ ოსმალისა და სერბიის დამოკიდებულება ისეთი არეულია ახლაო, ამბობენ, რომ ამ ორ სახელმწიფოს შუა დღე-ღღეზე უნდა მოველოდეთ ომიანობის გამოცხადებასაო.

**საზრანგეთი.** მართს ფრანცუზულ რესპუბლიკურ გაზეთში დაბეჭდილი იყო მიქტარ ჰიუგოს წიგნი იმ მოპატივების წიგნის პასუხად, რომელიც ჰენრეში შეკრებილმა „თავისუფლებისა და მშვიდობიანობის კავშირმა“ გამოუგზავნა იმას და რომელშიაც ის გადაკერით ამბობდა ბელგიის საფრანგეთთან შეერთებაზე.

ამის შემდეგ მიიღ-ღე-ჰირარდენმა რამდენიმე სტატია დაბეჭდა მეორე ფრანცუზულს გაზეთში, რომელშიაც პირ-და-პირ ამტკიცებდა, რომ სანამ ბელგია საფრანგეთს არ შეუერთდება სანამ ამ გზით საფრანგეთი ისეთივე ძლიერი არ შეიქმნება, როგორც ახლა გერმანია არისო, მანამ გერცოგოვინის მოსვენებათ ცხოვრებასა და მშვიდობიანობას არ ეღირსებაო.

ამ წერილმა და სტატიებმა ბელგიისა და თითქმის გერცოგის ქურნალისტიკა ააღვლეა. ბელგიელები შეშინდნენ, ეგონათ, რომ მართლა ფრანცუზებს განზრახვა აქვთ, რომ იმათი პატარა, მაგრამ თავისუფალი სახელმწიფო ძალით დაიპყრონ. საქმე იქამდე მოვიდა, რომ საფრანგეთის მმართველობა იძულებული იყო ოფიციალურს გაზეთში გამოეცხადებინა, რომ ეს აზრი ბელგიის საფრანგეთთან შეერთებაზე მხოლოდ მიქტარ ჰიუგოსა და მიილ-ღე-ჰირარდენის ფანტაზიის ნაწარმოები არისო.

### ქრონიკა

#### ქართვალის სარწმუნოება და ცვლილება, რომელიც იმაში მოახდინა შარნავაზმა

სარწმუნოებრივი სწავლა თუმცა ასრეთი მშვენიერი იყო, მაგრამ მოგვები თავის სარგებლობისათვის იმას არ უხსნიდნენ ქართველი ხალხს და დროს და დროს განმავლობაში ის სრულიად გარყენეს. აბიერი მოგვები ყველაფერს მალაღდნენ და ხალხს მხოლოდ იმას ეუბნებოდნენ, რაც საკუთრად იმათი სასარგებლო

იყო. ანგარება, სასტიკობა და შუარის-ძიება, რომელი თვისებებიც იმათ თვითონ ეკუთვნოდათ, მათთვის იმ საგნებსაც, რაც ხალხი სარწმუნოებრივი მოწიწებით უყურებდა. ცა, მთები, ტყეები, ზღვა, ნაკადულები ღმერთების საცხოვრებელი ადგილები იყვნენ. მაღალი უდაბნოები, მიყრუებული კოშკები, მივარდნილი ტყეები შეადგენდნენ სამაროვანს. ქართველებს აქ მოაქცდათ მკედრები და სტოვებდნენ ფრინველებისა და ნადირისაგან შემაჭმელად. მაგრამ იმ კედრებს ჰქამდნენ, რომელსაც სწირადენენ არმაზს სხვერბლად. ამ გვარი სხვერბლი იყო უცხო კაცი. თავის საკუთარ შეილებს, სხვერბლად შეწურულს, ქართველები სწავდნენ. ის სხვერბლი უფრო კარგად დაიწოდა.

ამ ცუდს სწავლას მიემატა კიდევ ის უგუნური სწავლა, რომ ცეცხლი წმინდა არისო, კაცობრიობა კი გარყენილიაო. შევლაფერი რაც კი კაცის გვაშიდგან ამოვა, უწმინდურება არის, ამისათვის კაცის პირიდან შებერვა ცეცხლს აბილწებსო. ქაცი უწმინდურად იბადება და წყალი მხოლოდ იმის ტანსა რეცხსო; გული კი უწმინდურად რჩებაო. ამ გვარი სწავლისა გამო აღკრძალული იყო იმასთანა შრომა, რომელიც ცეცხლის შემწეობით კეთდება: მაგალითებრ მკედლობა. შესანიშნავია, რომ დღევანდლამდე ქართველებში ძლიერი იშვიათად ნახავთ მკედლებს. აგრეთვე შესანიშნავია, რომ ინგილოვები ცეცხლს არაოდეს არ აქრობენ ოჯახში. მაგალითებრ დიდმარხვაში თუ რომ ოჯახში ცეცხლი გაქრა, ამბობენ, მარხვის შენახვა ოჯახს შენახვად არ ჩაეთვლება და სააქაოსაც და საიქიოსაც დაიხჯებაო.

შემდეგ დროებში ამ ღმერთებს კიდევ ქართველებმა მიათვალეს დანიანი, რომელზედაც ბროსე ამბობს, რომ ეს ღმერთი არის ბერძენის „დიანა“, გაღმერთეს მეფეები და გმირები. მოსე ძორენელი გჰკიცხავს ქართველებს იმისათვის, რომ ისინი მაგაკნას კერპს თაყვანსა ცემენო (წიგ. I თავ. 30). საქართველოს მეფე შარსმანი მე-III, ერთგული მეგობარი აღრიანე იმპერატორისა, თავის სიკოცხლემივე იყო გაღმერთებული. იმისი გამოქანდაკებული სახე რომაელებს ამართული ჰქონდათ ბელლონის ტაძარში ტიბრის მდინარის პირზე.

შარნავაზამდე ქართველებმა თავიანთ ღმერთებისათვის ტაძრების აშენება არ იცოდნენ, ამისათვის რომ შაროასტრის სარწმუნოება დაფუძნებული იყო ბენების მოვლენაზე. სხვერბლსა სწირადენენ ტყეებში, მთებზე და წყლის პირას. ამისათვის ტყეებს საღმრთო მნიშვნელობა დედოთ და ასრე ღრუიღიში შეუკავშირდა ზენდაეესტის სწავლა. ღებუადე-მონაბერეს სიტყვით, ძაეკაზის მცხოვრებნი მუდამ ელტოდნენ ღრუიღიზმს ანუ ტყის თაყვანის ცემას. ამის ჰაზრის დასამტკიცებლად მედაუმატებ, რომ ძახში ყოველს ინგილოს გვარეულობას ახლაც თავი-

სი საკუთარი ხის საყდარი აქვს. მს საყდრები იფნისანი არიან სხეებში იფნს ინგილოვებში სხეებში დიდი საღმთო პატივი აქვს. აგრეთვე პატივსა სცემენ დღემდე ხის საყდრებს საქართველოს სხვა ნაწილებშიაც. მითი ამ გვარი ხის საყდარი ახლაც არის მაღაროს კალოებზე, ხევი, წყაროს პირს. მრავალნი არიან აგრეთვე საქართველოში სახატო ტყეები, რომლებსაც შიშისა გამო ხალხი ხელს ვერ ახლებს. ინგილოვები იმათ სწირავენ ცხვარს, ქათამს, ძროხას, უნთებენ სანთელს და უკმევენ საკმელს.

პი ამნაირი იყო ქართველების სარწმუნოება შარნავაზის წინად, მერმე და ქრისტიანობის გავრცელებამდე, და იმას ედვა ქართველის ქაუისა, ზნისა და ხასიათის სახე, და არა სპარსული.

ამ სარწმუნოების დამაარსებელი იყო სპარსელი. იმას ერქო სპარსულად ზარატუსტრა, ევროპიელნი კი „ზოროასტრს“ ეძახიან. ის სცხოვრებდა მე-XIII საუკუნეში ძრ. დაბადების წინად.

ინგილო ჯანაშვილი

### წესდება

#### თფილისის გამახსნებალ-შამან-ხვალის ამხანაგოვისა

116) ანგარიში შედგენილი და ხელ-მოწერილი უნდა იყოს გამგებლობის წევრებისაგან არა უგვიანეს ერთის თვისა, შემდეგ წიგნების ჯამის გამოყვანისა, ანუ უთუოთ ორი კვირის წინად, ვიდრე საზოგადო კრება მოხდებოდეს, რომელსაც იგი უნდა წარედგინოს (მუხ. 107 პ. ე).

117) შიღრე წარდგება საზოგადო კრებამდინ ანგარიში — დაეთრებითა და დოკუმენტებით გაშინჯულ უნდა იყოს რჩევის წევრებისაგან, რომელნიც თავიანთ შენიშვნას ანგარიშის ბოლოში მოიხსენიებენ და ხელს მოაწერენ.

118) თუ გამგებლობამ წლის ანგარიში არ შეადგინა აღნიშნულ ვაზედ (მუხ. 116), რჩევის ვალდებულებაა მიანდოს სხვა პირებს ამ ანგარიშს შედგენა თავის ზედამხედველობითი და გამგებლობის წევრების ხარჯითა.

119) თუ საზოგადო კრებამ ექვი შეიტანა, რომ ანგარიში დასაკმაყოფილებელი და სწორე არ არის, მაშინ მას შეუძლიან დაეთრების და ანგარიშის დიწერილებით გაჩხრეკისა და შემოწმებისათვის ამოარჩიოს თავისში არა ნაკლებ სამის პირისა. მს პირნი მათზე მიწოდბილ საქმის გათავებას მოახსენებენ ამ საგნისათვის განგებ მოწვეულს საზოგადო კრებასა (მუხ. 99 პ. ბ).

120) საზოგადო კრებისაგან დამტკიცებული ანგარიში ინახება ამხანაგობის საქმეებთან, ხოლო მისი პირი და აგრეთვე საზოგადო კრების განჩენისა, რომელიც იყო წარდგენილი — წარედგინება ფინანსის სამინისტროში.

#### XI. ამხანაგობის საქმის მოსპობა.

121) ამხანაგობა მოსპობს თავის საქმეებს: ა) საზოგადო კრების გარდაწყვეტილებით (მუხ. 107 პ. ნ და მუხ. 103 და 109); და



ფოთი თფილისის რკინის გზა

# განცხადება

ფოთი-თფილისის რკინის გზის გამგეობა აცნობებს საზოგადოებას, რომ ამ 30 სექტემბერსა და 1 ოქტომბერს იმ პირებისთვის, რომელნიც მცხეთობაზე წასვლას მოისურვებენ, დანიშნული იქნება ცალკე მატარებლები: იმ მატარებლებშიც, რომელნიც მუდამ დაარებაზე, ამ დღეებში მოგზაურებს არ მიიღებენ. რკინის გზის მატარებელი ამ წესით იქნება:

30 სექტემბერს		1 ოქტომბერს	
მ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ	მ ც ხ ე თ ი დ ა მ	მ ფ ი ლ ი ს ი დ ა მ	მ ც ხ ე თ ი დ ა მ
ს.ლამოს 6 საათზე	ს.ლამოა 7 საათზე და 23 მინ.	ლილის 6 საათზე და 30 მინ.	ლილის 7 საათზე და 33 მინ.
" 6 საათზე და 30 მინ.	" 7 საათზე და 50 მინ.	" 7 " " 32 "	" 8 " " 35 "
		" 8 " " 34 "	" 9 " " 33 "
		" 10 " " 25 "	" 11 " " 28 "
		" 11 " " 30 "	ნაშუადღეის 12 " " 33 "
		ნაშუადღეის 12 " " 34 "	" 2 " " 46 "
		" 2 " " 48 "	" 3 " " 50 "
		" 3 " " 50 "	" 4 " " 56 "
ს.ლამოს 6 " " " "	ს.ლამოს 7 " " " "	" 7 " " 2 "	" 8 " " 4 "
" 7 " " " "	" 8 " " " "	" 8 " " 4 "	" 9 " " 6 "
" 8 " " " "	" 9 " " " "	" 9 " " 10 "	" 10 " " 33 "

შოველს მატარებელში იქნება 48 ადგილი I კლასის მოგზაურისთვის, 128 ადგილი II კლასისთვის და 600 ადგილი III კლასისთვის. ღვინაწაყლის წინა დღეს და თვით ღვინაწაყლს დღესაც თფილისისა და მცხეთის რკინის გზის სტანციებზე ბილეთები ოთხ ალაგას გაისყიდება კასებში; I და II კლასის ბილეთები ჩვეულებრივს კასებში და III და IV კლასებისა დროებით კასებში №№ 2, 3 და 4 სტანციასთანვე. შოველი მატარებლისათვის მხოლოდ იმდენი ბილეთები გაისყიდება, რამდენიც ადგილია; შემდეგ კასები დაიხურება და გაიღება მხოლოდ შემდეგი მატარებლის წასვლის ნახევარი საათის წინათ. იმ მოგზაურებს, რომელნიც უბილეთოდ ჩაჯდებიან მატარებელში, გზის ფასი ერთ-ორად გადახდებათ და რკინის გზის აგენტებისაგან მიეცემათ დამატებითი ბილეთები. 1 ოქტომბერს მცხეთაში, ფოჩისა და რკინის გზის სტანციასთან, მაგდანზე სამხედრო მუზიკანტების ხორი დაუკრავს ნასადილევს 3 საათიდან სალამოს 11 საათამდე.

ბ) სასამართლოს განჩინებით, როდესაც ამხანაგობა უკონკრეტო დანახვებზე.

122) ამხანაგობის საქმეების მოსპობასთან საზოგადო კრების დადგინებით (მუხ. 121 პუ. ა) — გამგებლობა ვალდებულია:

ა) შეაყენოს მაშინათვე მიღება წილადის და სასარგებლოდ შემოსავლის ფულებისა და აგრეთვე გასესხება;

ბ) მანწესებულ ვადებზე გასესხებული ფული გამოართვას, გარდაიხადოს ხასხის ვალი და დაუბრუნოს სასარგებლოდ შემოსავლიანი ფული.

გ) დაუბრუნოს კუთვნილობისამებრ წილადი ფული და მისი ნაწილი, — იმ ნაწილის ზომის მიხედვით, რაიც თავისუფალი დარჩა შემდეგ დაკმაყოფილებისა ამხანაგობისაგან მიცემულის შეკრულობის წერილებისა (მუხ. 27); და

დ) მარტო ცეს კუთვნილებისამებრ სათადარიგო თანხა (მუხ. 66), რაიც ნაღდით დარჩა შემდეგ ამხანაგობისაგან მიცემულ შეკრულობის წერილების დაკმაყოფილებისა.

123) როდესაც ამხანაგობის საქმეები მოისპობა სასამართლოს განჩინებით (მუხ. 121 პ. ბ), ფულის პატრონებს, რომლებსაც ამხანაგობას ფული ჰმართებს, შეუძლიანთ თავიანთში აღმოიჩინონ არა უმეტეს ორი პირისა და მიანდონ, რომ გამგებლობასთან ერთად გაათავონ ანგარიშები ამხანაგობის საქმეებისა, 122 მუხლის საფუძვლისა მებრ.

124) როდესაც გათავად ამხანაგობის ყველა ანგარიშები და საქმეები, გამგებლობა აცნობებს ამას ფინანსის სამინისტროსა.

125) მიუხედავად, რაიც მოხდება ამ წესდების აღსრულებაში, აღსანიშნული იქნება ფინანსის სამინისტროსაგან. (დასასრული)

ა) შემოსავალი:

1) წყურთაგან შემოტანილი მან. კაპ საწილო ფული.	3347 20
2) ამხანაგობამ ესესხა ტფილისის საურთიერო ნდობის საზოგადოებისაგან და კერძო პირთაგან.	3220 "
3) სასარგებლოდ არის შემოტანილი წყურთაგან.	480 "
4) სარგებელი აღებულია გასესხებულის ფულისაგან.	643 81
5) სესხი და ბრუნებულა ახალი ვადა-მიუცემელი და ახალი ვადა-მიცემული.	2867 "
6) ჯარიმა აღებულია.	2 69
<b>სულ შემოსულა.</b>	<b>10560 70</b>

ბ) გასავალი:

1) მასესხებულა.	9333 "
2) სარგებელი დაუბრუნდათ ვადაზედ წინ შემოტანილის ნასესხისა.	9 18
3) სარგებელი მიეცა ამხანაგობისაგან ნასესხს ფულზედ.	96 50
4) სასარგებლოდ შემოტანილი ფული დაუბრუნდათ.	100 "
5) სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ მიეცათ.	4 33
6) ტფილისის საურთიერო ნდობის საზოგადოებაში არის შეტანილი.	200 "
7) ტფილისის საურთიერო ნდობის საზოგადოებამ დაიჭირა სესხობის დროს წესდების ძალით.	10 50
8) ტფილისის სავაჭრო ბანკში არის შეტანილი.	100 "
9) დახარჯული არის გამგებობაზედ.	295 50 1/2
<b>ჯამი.</b>	<b>10149 1 1/2</b>
<b>ბანკში არის ნაღდი ფული</b>	<b>411 68 1/2</b>
<b>ერთიანი ჯამი.</b>	<b>10560 70</b>

შენიშვნა: 1-ს იანვრიდან 1875 წლისა ნასესხს ფულზედ 1150 მან. და სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ 380 მან. სარგებელი ჯერ არ მისცემიათ და რადგან ვადა ჯერ არ შექსრულებიათ.

## განცხადებანი

### ერთის წლის ანგარიში

თიონეთის გამსესხებელ-შემნახველის ამხანაგობის აღებ-მიცემისა, 1-ს სექტემბრიდან 1874 წლისა, ესე იგი პირველ დაფუძნებლად ამხანაგობისა, 1-ს სექტემბრამდის 1875 წლისა, დამტკიცებული, შემოწმებული რჩევისაგან 6 სექტემბერს 1875 წელსა. ამხანაგობაში ირიცხება წევრად სამას ოთხი კაცი.

შენიშვნა: 1-ს იანვრიდან 1875 წლისა ნასესხს ფულზედ 1150 მან. და სასარგებლოდ შემოტანილს ფულზედ 380 მან. სარგებელი ჯერ არ მისცემიათ და რადგან ვადა ჯერ არ შექსრულებიათ.
გამგებელი } 3. ბაქრძე
} 3. ლოდაცი
} 3. შიუკოვი

ბეჭდვიდგან გამოვიდა და ისყიდება ტფილისში: მელიქაშვილის და კაპ. სტამბაში I და II კარი შარამანიანისა, ფასი 30 კაპ. თავის სურათებით. აგრეთვე მთფიაჯიან-ცის საწიგნო მალაზიაში და ივანოვის ბიბლიოთეკაში და აგრეთვე მიხაილოვის ხილზედ უფ. მიროზვეის შენობაში აბოვიანცის მალაზიის პირდაპირ უფ. ძალანდაძესთან.

შუთაიში: შუბერნიის სტამბაში სემონ ჩომახიძესთან. შევლგან ფასი 30 კაპ. იბეჭდება და მომავალ თვეებში გამოვა III კარი შარამანიანისა. უფ. ივანოვის ბიბლიოთეკაში ისყიდება მეორე გამოცემა მართულ-ფრანგულ ლექსიკონისა, რომელიც შედგენილია ივ. როტინიანცისაგან. ფასი ერთი აბაზი

რკ. გზა.	ლილა.	სალამ.	II კ.	III კ.	ცეხლის ვაშები	ფოფა	ბირჟა	მან. კაპ	მაზანდა	მან. კაპ
თფილისი	936	454			ა) ფოთიდან: მდესისკენ — ორშაბ. დილის 8 საათ. სტამბოლს — კვირაობით დილას.	ა) თფილისი დამ: სამზღვარ გარეთ, მუთათას, რუსეთს — ყოველ დღე კვირას გარდა. ზუგდ. ოთხშ., მსურგეთს — პარასკ და ორშაბ. ბაქოს — ორშ. სამშაუ. და შაბ. პანეთს — სამშ. და შაბ.	პეტერბურგი, 19 სექტემბ.		თფილისი, 23 სექტემბ.	
მცხეთა			68	38	ბ) სოხუმიდან: შოთს — სამშაბათს, ღამით.	ბ) შუთაისი დამ: თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ერთი მანეთი ღირს: ლონდონში 33 1/8 პენსი. პარიჟში 33 1/2 სანტიმი. მსკონტი (სარგებლისფასი) ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	84	პური შორავლის ფთ.	1 5
ზორი	1221	841	2	40 1 23	შოთს — სამშაბათს, ღამით.	თფილისისა და შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	89	ჭერი ფუთი.	60
ხაშური	2	11 10	3	92 2 18	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	მსკონტი (სარგებლისფასი) ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	5	ბამბა ქრევისა, ფუთი.	5 20
ბეჟათუბანი			4	42 2 46	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	99 50	ამერიკისა, ფუთი.	
ჭყვირია			5	81 3 23	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	227 50	გაპენტილი ბამბა ფთ.	8
მუთათისი	823		6	75 3 75	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	221	მატყლი თუშური ფთ.	7 80
სამტრედია			7	73 4 29	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	93	თარაქამისა ფთ.	4 50
ახ.სენაკი			8	57 4 76	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	88 25	პარეშუმი ნუხური გრ.	2 60
ფოთი	1144		9	75 5 42	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)	86 50	ჭონი, ფუთი.	4
შოთი	840				შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		ჭონის სანთელი ფუთი.	5 60
ახ.სენაკი			1	18 - 66	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		სტეარინის სანთელი, ფ.	10 20
სამტრედია			2	6 1 14	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		ხორცი ძროხისა, ლიტ.	45
მუთათისი	1151		3	4 1 69	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		ცხვისა, ლიტრა.	54
ჭყვირია			3	98 2 21	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		სპირტი, ვედრო.	6 60
ბეჟათუბანი			5	33 2 96	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		შაქარი, ბროც. ფუთი.	8 15
ხაშური	541		1	65 84 3 24	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		ფხვნილი ფუთი.	6 80
ზორი	723		3	67 36 4 9	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		შავა გრვავალი ფუთი.	18 50
მცხეთა			9	85 4 1 3 50	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		ზეთი ქუნჯუთისა ფთ.	6
თფილისი	1016		7	24 9 75 5 42	შოთს — სამშაბათს, ღამით.	შოთისაკენ — ყოველ დღე, კვირას გარდა. მსურგეთს — ორშ. და პარასკ. ზუგდიდს — ოთხშაბ.	ბანკის ბილეთი 5%. მოგებიანი (პირველისეხი) მოგებიანი (მეორე სესხი)		მქრო 1/2 იმპერიალი.	5 88